

2024

შპს „მანი მუვერს“

ფინანსური ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნასთან ერთად

სარჩევი

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა	3
<i>ფინანსური ანგარიშგება</i>	
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	5
სრული შემოსავლის ანგარიშგება	6
საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება	7
ფულადი ნაკადების ანგარიშგება	8
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები	
დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა	3
1. ზოგადი ინფორმაცია	9
2. კომპანიის მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა	10
3. ძირითადი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები	16
4. ძირითადი საშუალებები	17
5. მარაგები	18
6. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	18
7. ფული და ფულის ექვივალენტები	18
8. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	18
9. საგადასახადო აქტივი/საგადასახადო ვალდებულება	19
10. ამონაგები	19
11. ზოგადი & ადმინისტრაციული ხარჯი და მიწოდების დანახარჯები	20
12. სხვა შემოსავალი	20
13. სხვა ხარჯი	21
14. მოგება/ (ზარალი) საკუროსო სხვაობიდან, წმინდა	21
15. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან	21
16. ანარიცხები და პირობითი ვალდებულებები	22
17. ბალანსის შემდგომი მოვლენები	22
18. დამტკიცების თარიღი	22

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს „მანი მუვერს“ მფლობელებსა და ხელმძღვანელობას:

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენ ჩავატარეთ აუდიტი შპს „მანი მუვერს“ (შემდგომში „კომპანია“) ფინანსური ანგარიშგებისა, რომელიც შედგება 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან, ასევე აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის სრული შემოსავლის ანგარიშგების, საკუთარი კაპიტალის ცვლილების ანგარიშგებისა და ფულადი ნაკადების ანგარიშგებისგან, ყველა არსებითი საადრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვისა და სხვა განმარტებითი ინფორმაციისგან.

ჩვენი აზრით, წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე, მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას იმ წლისთვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.

მოსაზრების საფუძველი

აუდიტი ჩავატარეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს) შესაბამისად. აღნიშნული სტანდარტებით გათვალისწინებული ჩვენი პასუხისმგებლობა აღწერილია დასკვნის ნაწილში, „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“. ჩვენ ვართ კომპანიისგან დამოუკიდებელი, რაც გულისხმობს შესაბამისობას „ბუღალტერთა ეთიკის სტანდარტების საერთაშორისო საბჭოს“ მიერ გამოცემული „პროფესიონალ ბუღალტერთა ეთიკის კოდექსის“ ფინანსური ანგარიშგების აუდიტის საქართველოში არსებულ მოთხოვნებთან და ამასთანავე, ვასრულებთ ამავე კოდექსით განსაზღვრულ სხვა ეთიკურ ვალდებულებებს.

გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოსათქმელად საჭირო საფუძვლის შესაქმნელად.

სხვა გარემოება

ჩვენ არ ჩავიტარებია აუდიტი ან მიმოხილვა ან სხვა პროცედურები 2023 წლის ფინანსურ ანგარიშგებასთან დაკავშირებით. შესაბამისად, ჩვენ არ გამოვხატავთ არანაირ რწმუნებას 2023 წლის მთლიანად აღებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან დაკავშირებით.

ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირთა პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია თანდართული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე მსს ფასს ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობას ევალება, შეაფასოს კომპანიის ფუნქციონირებადობის უნარი და აუცილებლობის შემთხვევაში, ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია საწარმოს ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის

პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არა აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებელნი არიან კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მომზადების და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, მოცემული ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას, რომელიც არსებობს. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაეყრდნობიან მოცემულ ფინანსურ ანგარიშგებას.

ასს-ების შესაბამისად აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტორის მიერ პროფესიული განსჯის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას აუდიტის პროცესში. გარდა ამისა, ჩვენ:

- ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ, ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტორულ პროცედურებს და მოვიპოვებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულსხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას.
- ჩვენ შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დავგეგმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.
- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას.
- დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა კომპანიის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება კომპანია უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.
- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, ახსნა-განმარტებებს და ასევე, ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს, სხვა საკითხებთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

ირაკლი მანაგაძე, გარიგების პარტნიორი (SARAS-A-711302)

შპს ELIT AUDIT (SARAS-F-952780)




2025 წლის 14 ივლისი

თბილისი, საქართველო






2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
(ციფრები ცხრილებში მოცემულია ლარში)

	შენიშვნა	31.12.2024	31.12.2023
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	4	454 292	460 604
		454 292	460 604
მოკლევადიანი აქტივები			
ფული და ფულთან გათანაბრებული ინსტრუმენტები	7	1 710 512	2 481 426
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	6	631 362	829 772
საგადასახადო აქტივი	9	16 234	0
მარაგები	5	21 747	18 973
		2 379 855	3 330 171
მთლიანი აქტივები		2 834 147	3 790 775
მთლიანი კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი		1 020 337	1 762 549
გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)		(104 985)	(54 212)
დივიდენდები		(123 000)	(938 000)
საწესდებო კაპიტალის ზრდა/კლება		(250 000)	250 000
		542 352	1 020 337
ვალდებულებები			
მოკლევადიანი ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	8	2 291 795	2 745 676
საგადასახადო ვალდებულებები	9	-	24 762
		2 291 795	2 770 438
მთლიანი ვალდებულებები		2 291 795	2 770 438
მთლიანი კაპიტალი & ვალდებულებები		2 834 147	3 790 775

 დირექტორი
 
 ფინანსური დეპარტამენტის ხელმძღვანელი

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის
სრული შემოსავლის ანგარიშგება
(ციფრები ცხრილებში მოცემულია ლარში)


	შენიშვნა	2024	2023
ამონაგები	10	2 642 878	3 415 840
<u>საერთო მოგება</u>		<u>2 642 878</u>	<u>3 415 840</u>
სხვა შემოსავლები	12	92 278	143 417
ზოგადი & ადმინისტრაციული ხარჯი	11	(2 656 358)	(3 575 028)
მიწოდების დანახარჯები	11	(141 108)	(81 880)
სხვა შემოსულობები/(ზარალი) - წმინდა	14	(38 595)	48 933
სხვა ხარჯები	13	(4 080)	(5 494)
<u>საოპერაციო მოგება</u>		<u>(104 985)</u>	<u>(54 212)</u>
<u>მოგება დაბეგვრამდე</u>		<u>(104 985)</u>	<u>(54 212)</u>
<u>წმინდა მოგება</u>		<u>(104 985)</u>	<u>(54 212)</u>
სხვა სრული შემოსავალი:			
მთლიანი სრული შემოსავალი		<u>(104 985)</u>	<u>(54 212)</u>

 დირექტორი
 
 ფინანსური დეპარტამენტის
ხელმძღვანელი

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის
კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება
(ციფრები ცხრილებში მოცემულია ლარში)

	საწესდებო კაპიტალი	გადაფასების რეზერვი	გაუნაწილებელი მოგება	მთლიანი კაპიტალი
2022 წლის 31 დეკემბერი	11 200	-	1 751 349	1 762 549
წმინდა მოგება	-	-	(54 212)	(54 212)
სხვა სრული შემოსავალი	-	-	-	-
პერიოდის სრული შემოსავალი	-	-	(54 212)	(54 212)
გაცემული დივიდენდი	-	-	(938 000)	(938 000)
საწესდებო კაპიტალის ზრდა	250 000	-	-	250 000
2023 წლის 31 დეკემბერი	261 200	-	759 137	1 020 337
წმინდა მოგება	-	-	(104 985)	(104 985)
სხვა სრული შემოსავალი	-	-	-	-
პერიოდის სრული შემოსავალი	-	-	(104 985)	(104 985)
გაცემული დივიდენდი	-	-	(123 000)	(123 000)
საწესდებო კაპიტალის ზრდა	(250 000)	-	-	(250 000)
2024 წლის 31 დეკემბერი	11 200	-	531 152	542 352

დირექტორი




ფინანსური დეპარტამენტის
ხელმძღვანელი

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება
(ციფრები ცხრილებში მოცემულია ლარში)

	შენიშვნა	31.12.2024	31.12.2023
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან			
წმინდა მოგება		(104 986)	(54 212)
კორექტირებები არაფულადი შემოსავლებისთვის და ხარჯებისთვის:		126 441	139 519
- ცვეთა	4	126 441	109 832
- ძირითადი საშუალებების გაუფასურება		-	24 805
- (შემოსულობა)/ზარალი ძირითადი საშუალებების გასვლიდან		-	4 883
საოპერაციო აქტივების (ზრდა) კლება		(299 241)	687 524
- სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	6	198 410	1 182 506
- მარაგები	5	(2 774)	5 283
- სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	8	(453 881)	(420 239)
- საგადასახადო ვალდებულება	9	(24 762)	(80 026)
- საგადასახადო აქტივი	9	(16 234)	-
ოპერაციებიდან წარმოქმნილი ფულადი სახსრები		(277 786)	772 831
წმინდა ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		(277 786)	772 831
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან			
- ძირითადი საშუალებების შეძენა	4	(120 129)	(107 329)
წმინდა ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან		(120 129)	(107 329)
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან			
- საწესდებო კაპიტალის ზრდა (შემცირება)		(250 000)	250 000
- გადახდილი დივიდენდები		(123 000)	(938 000)
წმინდა ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან		(373 000)	(688 000)
ფულადი სახსრების, ფულადი სახსრების ექვივალენტებისა და საბანკო ოვერდრაფტის ზრდა (კლება)			
		(770 914)	(22 499)
ფულადი სახსრების, ფულადი სახსრების ექვივალენტებისა და საბანკო ოვერდრაფტის საწყისი ბალანსი			
		2 481 426	2 503 925
ფულადი სახსრების, ფულადი სახსრების ექვივალენტებისა და საბანკო ოვერდრაფტის საბოლოო ბალანსი			
		1 710 512	2 481 426

დირექტორი



ფინანსური დეპარტამენტის
ხელმძღვანელი

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს მანი მუვერს (საიდენტიფიკაციო ნომერი: 200274318) წარმოადგენს 2009 წლის 23 ივლისს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად რეგისტრირებულ შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას, რომლის ძირითადი საქმიანობაა ფინანსური მომსახურება „საგადახდო სისტემისა და საგადახდო მომსახურების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად

100% წილის მფლობელი და მმართველია:

შპს მმ ინვესტი, 404409216

ხელმძღვანელობაზე/წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირია:

დირექტორი - კახაბერ საკანელაშვილი, 01001016470.

მარეგისტრირებული ორგანოა სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო.

იურიდიული და ფაქტიური მისამართი: თბილისი, აღმაშენებლის ხეივანი 172 გ

2013 წლის 14 იანვარს საქართველოს ეროვნულმა ბანკმა შპს „მანი მუვერს“ დაარეგისტრირა, როგორც საგადახდო მომსახურების პროვაიდერი (რეგისტრაციის №0008-9004), რის შემდეგაც მას საშუალება მიეცა გამოეშვა ელექტრონული ფული და განახორციელოს ელექტრონულ ფულთან და ელექტრონულ გადახდებთან დაკავშირებული კანონით გათვალისწინებული ნებისმიერი ოპერაცია.

კომპანია ასევე რეგისტრირებულია ფინანსური მონიტორინგის სამსახურში.

ფინანსური ანგარიშგების მომზადება-დამტკიცებაზე პასუხისმგებლობა

შპს მანი მუვერსის ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია მოამზადოს კომპანიის ფინანსური ანგარიშგება ისე, რომ ის სამართლიანად ასახავდეს მის ფინანსურ მდგომარეობას 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ასევე საქმიანობის შედეგს, ფულადი სახსრების მოძრაობას და ცვლილებებს კაპიტალში.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას მენეჯმენტი პასუხისმგებელია :

- ✓ შეარჩიოს კომპანიისთვის შესაბამისი პოლიტიკა და იხელმძღვანელოს ამ პრინციპებით;
- ✓ შეარჩიოს და გამოიყენოს ეფექტური შიდა კონტროლის მექანიზმები;
- ✓ აწარმოოს ზუსტი და დროული ბუღალტრული ჩანაწერები, რაც უზრუნველყოფს იმას, რომ ფინანსური ანგარიშგება მომზადდეს სამართლიანად, დროულად.
- ✓ ისეთი ნაბიჯების გადადგმა, რომელიც უზრუნველყოფს კომპანიის აქტივების დაცულობას, თაღლითობის, შეცდომების და სხვა დარღვევების გამოვლენას და თავიდან აცილებას;
- ✓ კომპანიისთვის სასარგებლო და წინდახედული გადაწყვეტილებების მიღება;
- ✓ აწარმოოს ბუღალტრული ოპერაციები საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად;
- ✓ მოამზადოს ფინანსური ანგარიშგება ფუნქციონალური საწარმოს პრინციპების შესაბამისად.

2. კომპანიის მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა

ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესში გამოყენებული ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა მოცემულია ქვემოთ.

2.1 წარდგენის საფუძველი

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბუთს მიერ გამოშვებული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (მსს ფასს) შესაბამისად ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვების საფუძველზე.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე.

კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს კალენდარულ წელს 1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით.

ფინანსური ანგარიშგების მსს ფასს-ის მიხედვით მომზადება კომპანიის ხელმძღვანელობისგან ითხოვს გარკვეული შეფასებების გაკეთებას, რაც გავლენას იქონიებს აქტივებისა და ვალდებულებების საანგარიშო ღირებულებაზე ფინანსური ანგარიშგების შედგენის თარიღისათვის, ასევე იმოქმედებს შემოსავლისა და ხარჯების ოდენობაზე საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში. ფაქტიური შედეგები შესაძლოა განსხვავდებოდეს მიმდინარე შეფასებისაგან. შეფასებები პერიოდულად გადაიხედება. კორექტირებები, რამაც სააღრიცხვო შეფასებების ცვლილებები გამოიწვია, მიეკუთვნება იმ პერიოდის ფინანსურ შედეგებს, როცა ეს ცვლილებები გატარდა. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებების შესახებ განმარტებები მოცემულია მე-3 შენიშვნაში.

ფინანსური ანგარიშგება, ფულადი სახსრების მოძრაობის შესახებ ინფორმაციის გარდა, მომზადებულია დარიცხვის მეთოდის საფუძველზე. დარიცხვის მეთოდის თანახმად, სააღრიცხვო ერთეული აქტივად, ვალდებულებად, საკუთარ კაპიტალად, შემოსავლად ან ხარჯად აღიარდება იმ მომენტში, როდესაც იგი დააკმაყოფილებს შესაბამის განმარტებასა და აღიარების კრიტერიუმებს.

აქტივების, ვალდებულებების, შემოსავლებისა და ხარჯების შეფასება ხდება პირვანდელი ღირებულებით.

- აქტივი არის რესურსი, რომელსაც საწარმო აკონტროლებს წარსულში მომხდარი მოვლენების შედეგად და რის საფუძველზეც საწარმო მომავალში მოელის ეკონომიკური სარგებლის მიღებას;

- ვალდებულება საწარმოს მიმდინარე პერიოდის ვალდებულებაა, რომელიც წარმოიშვა წარსულში მომხდარი მოვლენების შედეგად და რომლის დაფარვა გამოიწვევს საწარმოდან რესურსების გასვლას, რომელშიც განივთებულია ეკონომიკური სარგებელი;

- საკუთარი კაპიტალი არის საწარმოს აქტივების ის ნაწილი, რომელიც რჩება ყველა ვალდებულების გამოკლების შემდეგ.

2.2 ოპერაციები უცხოურ ვალუტაში

ა) შეფასების და წარდგენის ვალუტა

ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული მუხლები წარმოდგენილია იმ ქვეყნის ვალუტაში, სადაც კომპანია ფუნქციონირებს (საოპერაციო ვალუტა). ამგვარად, მოცემული ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ქართულ ლარში, რომელიც კომპანიის ფუნქციონალური და წარსადგენი ვალუტაა.

ბ) უცხოური ვალუტის კონვერტირება

უცხოურ ვალუტაში ასახული მონეტარული აქტივები და ვალდებულებები გადაიანგარიშება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ვალუტის გაცვლის ოფიციალური კურსის შესაბამისად, წლის ბოლოსათვის. კონვერტაციის დროს წარმოშობილი კურსთაშორის სხვაობები აისახება მოგებისა და ზარალის ანგარიშებზე. უცხოურ ვალუტაში გამოხატული შედეგები აღირიცხება ოპერაციის განხორციელების დღეს არსებული ოფიციალური გაცვლითი კურსის შესაბამისად.

მონეტარული მუხლების კონვერტაციის დროს წარმოშობილი კურსთაშორის სხვაობები აისახება მოგებისა და ზარალის მუხლში „მოგება/ (ზარალი) საკურსო სხვაობიდან, წმინდა“.

უცხოური ვალუტით მიღებული არამონეტარული მუხლები შეფასებულია ოპერაციის დღის კურსით.

2024, 2023 წლების 31 დეკემბერს უცხოურ ვალუტაში არსებული ნაშთების კონვერტაციისთვის გამოყენებული ოფიციალური გაცვლითი კურსი იყო შემდეგი:

საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური გაცვლითი კურსი	აშშ დოლარი	ევრო	რუსული რუბლი
2024 წლის 31 დეკემბრისთვის	2.8068	2.9306	0.025405
2023 წლის 31 დეკემბრისთვის	2.6894	2.9753	0.029916

2.3 ძირითადი საშუალებები

კომპანია ძირითად საშუალებებს აღრიცხავს მსს ფასს-ის მე-17 განყოფილების - ძირითადი საშუალებები - შესაბამისად.

ძირითადი საშუალების ერთეულის საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით. თვითღირებულების კომპონენტები მოიცავს შეძენის ფასსა და უშუალოდ დაკავშირებულ დანახარჯებს, რომელიც აუცილებელია აქტივის სამუშაო მდგომარეობაში მოსაყვანად.

შემდგომი დანახარჯები ჩაირთვება აქტივის საბალანსო ღირებულებაში ან აღიარდება, როგორც დამოუკიდებელი აქტივი, მხოლოდ მაშინ, როდესაც შესაძლებელია აღნიშნული ტიპის დანახარჯისაგან მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება და შესაძლებელია მისი ღირებულების საიმედოდ განსაზღვრა. შეცვლილი კომპონენტის საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება. ყველა სახის სხვა დანახარჯი, რომელიც დაკავშირებულია მიმდინარე ტიპის რემონტებთან, აღიარდება როგორც ხარჯი მისი გაწევის პერიოდში.

ძირითადი საშუალებები აღირიცხება ისტორიულ ღირებულებას, დაგროვილ ცვეთასა და გაუფასურების ზარალს შორის სხვაობის თანხით. ცვეთა ერიცხება აღნიშნულ აქტივთა ჯგუფს, მთლიანად მათი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში. კომპანია იყენებს ცვეთის კლებადი ნაშთის მეთოდს ძირითადი საშუალებების ყველა ჯგუფისათვის გარდა შენობა-ნაგებობებისა, რომელიც აღირიცხება წრფივი მეტოდით. ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადები განისაზღვრება ცვეთის განსაზღვრული წლიური ოდენობით, შემდეგნაირად:

ჯგუფი

შენობა-ნაგებობები	5%
საოფისე აღჭურვილობა	20%
ავეჯი და სხვა ინვენტარი	20%
მანქანა-დანადგარები	20%

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის ხდება აქტივის ნარჩენი ღირებულებისა და მომსახურების ვადის გადახედვა და საჭიროების შემთხვევაში, მათი შეცვლა.

აქტივის გასვლასთან დაკავშირებული მოგება და ზარალი განისაზღვრება შემოსულობების შედარებით საბალანსო ღირებულებასთან, და სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარდება წმინდა თანხით, როგორც სხვა მოგება/ზარალი.

2.4 არამატერიალური აქტივები

აქტივის თავდაპირველი აღიარება ხდება თვითღირებულებით, მომავალი პერიოდის დანახარჯები ემატება აქტივის საბალანსო ღირებულებას, ან აღიარდება ცალკე აქტივად, იმ შემთხვევაში, თუ მოსალოდნელია, რომ აქტივთან დაკავშირებული მომავალი ეკონომიკური სარგებელი შემოვა კომპანიაში და აქტივის დანახარჯების განსაზღვრა საიმედოდაა შესაძლებელი.

ამორტიზაციის გამოთვლა ხდება ცვეთის კლებადი ნაშთის მეთოდით, სასარგებლო მომსახურების ვადები განისაზღვრება ცვეთის წლიური 15%-ით, გარდა იმ არამატერიალური აქტივისა, რომლის მოხმარების ვადა წინასწარ არის განსაზღვრული, ამ შემთხვევაში გამოიყენება წრფივი მეთოდი.

კომპანიის არამატერიალური აქტივი წარმოადგენს სააღრიცხვო პროგრამებს და კომპიუტერული პროგრამის ლიცენზიებს.

2.5 ფინანსური ინსტრუმენტები

თავდაპირველი აღიარება

პირველად აღიარებისას ფინანსური აქტივი ან ფინანსური ვალდებულება შეფასდება გარიგების ფასით (გარიგების დანახარჯების ჩათვლით, ისეთი ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების გარდა, რომლებიც შემდგომში უნდა შეფასდეს რეალური ღირებულებით, მოგებაში ან ზარალში ასახვით).

თუ შეთანხმება ფინანსურ ოპერაციას წარმოადგენს, საწარმო ფინანსური აქტივს ან ფინანსურ ვალდებულებას აფასებს მომავალი გადასახდელების დღევანდელი ღირებულებით, რომელიც დისკონტირებულია მსგავსი სავალსე ინსტრუმენტისთვის გამოყენებული საბაზრო საპროცენტო განაკვეთით და განისაზღვრება თავდაპირველი აღიარებისას.

სავალსე ინსტრუმენტები, რომლებიც კლასიფიცირებულია, როგორც მოკლევადიანი აქტივები ან მოკლევადიანი ვალდებულებები, შეფასებულია გადასახდელი ან მისაღები ფულადი სახსრების ან სხვა სახის კომპენსაციის არადისკონტირებული ღირებულებით (ანუ გაუფასურების გამოკლებით), იმ შემთხვევის გარდა, როდესაც შეთანხმება შინაარსით ფინანსურ ოპერაციას წარმოადგენს.

მოთხოვნები

კომპანიის მიერ გაწეული მომსახურება ნორმალური საკრედიტო პირობების საფუძველზე ხდება და მისაღები თანხა არ გულისხმობს პროცენტს.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები, რომლებიც განცალკევებულად ასახავს დაკავშირებული მხარეებისა და სხვა მხარეებისგან მისაღებ თანხებს და ასევე ისეთ მოთხოვნებს, რომლებიც წარმოიქმნება დარიცხული შემოსავლებიდან, რომლისთვისაც საწარმოს ჯერ არ წარუდგენია გადახდის ანგარიშები.

კომპანია ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს განსაზღვრავს, არსებობს თუ არა რაიმე ობიექტური მტკიცებულება იმ ფინანსური აქტივების გაუფასურების, რომლებიც შეფასებულია თვითღირებულებით ან ამორტიზებული ღირებულებით. იმ შემთხვევაში, თუ არსებობს გაუფასურების ობიექტური მტკიცებულება, კომპანია გაუფასურების ზარალს დაუყოვნებლივ აღიარებს მოგებაში ან ზარალში.

წინასწარი გადახდები აღიარდება თვითღირებულებას გამოკლებული გაუფასურების რეზერვით. წინასწარი გადახდა კლასიფიცირება გრძელვადიანად, როდესაც საქონელი ან მომსახურება, რომელი სავარაუდოდ, მიღებული იქნება ერთი წლის შემდეგ, ან აღნიშნული წინასწარ გადახდა უკავშირდება აქტივს, რომელიც თავდაპირველი აღიარებისას თავად კლასიფიცირებული იქნება გრძელვადიან აქტივად. ძირითადი საშუალებების შესაძენად განხორციელებული წინასწარი გადახდები გადავა ძირითადი საშუალების საბალანსო ღირებულებაზე მაშინ, როდესაც კომპანია მიიღებს სრულ კონტროლს ამ ძირითად საშუალებაზე და მოსალოდნელია ამ აქტივისგან მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება. სხვა წინასწარი გადახდები ჩამოიწერება მოგება-ზარალზე, როდესაც ხდება წინასწარ გადახდებთან დაკავშირებული შესაბამისი საქონლის ან მომსახურების მიღება. თუ არსებობს რაიმე სახის ეჭვი, რომ ვერ მოხდება საქონლის, მომსახურების თუ ძირითადი საშუალების მიღება, რომლისთვისაც წინასწარ გადახდილია თანხა, ამ შემთხვევაში ხდება აღნიშნული წინასწარ გადახდის ჩამოწერა მიმდინარე პერიოდის მოგება-ზარალზე.

ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები არის ნორმალური საკრედიტო პირობების საფუძველზე წარმოქმნილი ვალეები და არ გულისხმობს საპროცენტო განაკვეთს. საწარმოს გააჩნია მხოლოდ მოკლევადიანი ვალდებულებები.

2.6 გადასახადები

მიმდინარე მოგების გადასახადის ხარჯი გამოიანგარიშება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

სამეურნეო სუბიექტის მიერ მიღებული წლიური მოგება 2017 წლის 1 იანვრიდან საქართველოში არ იბეგრება. მოგების გადასახადი ირიცხება დივიდენდებზე, შეწირულობებზე, ზენორმატიულ დანაკარგებზე, ბიზნესთან დაუკავშირებელ დანახარჯებზე და სხვა. დივიდენდების გადახდით წარმოქმნილი მოგების გადასახადი აღირიცხება, როგორც ვალდებულება და ხარჯად ტარდება იმ პერიოდში, რომელშიც დივიდენდები გამოცხადდა, მიუხედავად იმისა, თუ ფაქტობრივად რომელი თარიღით და რომელ პერიოდზე მოხდა დივიდენდების გადახდა.

საქართველოში ასევე მოქმედებს სხვადასხვა საოპერაციო გადასახადი, რომლებიც გავლენას ახდენს კომპანიის საქმიანობაზე. ეს გადასახადები არის ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯების კომპონენტი, კერძოდ ქონების გადასახადი აისახება საოპერაციო გადასახადებში.

2.7 ფული და ფულის ეკვივალენტები

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები მოიცავს ნაღდი ფულის ნაშთს სალაროში, ფულს ბანკში, დეპოზიტებს რომელთა თავდაპირველი ვადაც მაქსიმუმ 90 დღეა და თავისუფალია ყოველგვარი საკონტრაქტო დატვირთვებისგან. ფული და ფულის ეკვივალენტები საწყისად აღიარდება რეალური ღირებულებით და შემდეგ ამორტიზებადი ღირებულებით. უცხოურ ვალუტაში არსებული ფულადი სახსრების ნაშთების გადაფასება ხდება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ლარის გაცვლითი ოფიციალური კურსის შესაბამისად საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსათვის.

2.8 მარაგები

მარაგების საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით და შემდგომ თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. თვითღირებულება მოიცავს შეძენის, გადამუშავების და სხვა ხარჯებს, რომლებიც დაკავშირებულია მარაგების ტრანსპორტირებასა და დასაწყობებასთან. მარაგების თვითღირებულება მცირდება მიღებული ფასდაკლებით.

მარაგების გაყიდვის შემთხვევაში მისი საბალანსო ღირებულების აღიარება ხდება იმ პერიოდის ხარჯად, როდესაც აღიარდება მისი შესაბამისი შემოსავალი. მარაგების თვითღირებულება გამოითვლება საშუალო შეწონილი მეთოდით. მარაგების ნეტო სარეალიზაციო ღირებულებამდე ჩამოწერის თანხები აღიარდება იმ პერიოდის ხარჯად, როდესაც ხდება ჩამოწერა ან ადგილი აქვს დანაკარგებს. მარაგების ნეტო სარეალიზაციო ღირებულების გაზრდით გამოწვეული ნებისმიერი ჩამოწერის უკუგატარების (ანულირების) თანხა ზრდის გაუფასურებული მარაგების საბალანსო ღირებულებას განახლებულ ნეტო სარეალიზაციო ღირებულებასა და თვითღირებულებას შორის უმცირეს თანხამდე.

საწარმო მარაგის ჩამოწერას ახორციელებს საშუალო შეწონილი მეთოდით.

გამომდინარე იქიდან, რომ კომპანიის საქმიანობას არ წარმოადგენს ვაჭრობა, ანგარიშგებაში მოცემული მარაგები სამომავლოდ განკუთვნილია სარეკლამო და ადმინისტრაციული მიზნებისათვის.

2.9 შემოსავალი

კომპანია ამონაგებს აფასებს მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით, შემოსავლების აღიარება მოხდება იმ ანაზღაურების ოდენობით რომელსაც საწარმო მოელის კლიენტისთვის მომსახურების მიწოდების სანაცვლოდ.

მომსახურების გაწევა

კომპანია ამონაგებს აღიარებს მომსახურების ხელშეკრულების შესრულების სტადიის მიხედვით, როცა შესაძლებელია ამონაგების ოდენობის საიმედოდ შეფასება და მოცემული ოპერაციიდან მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის შემოსვლა კომპანიაში.

2.10 დანახარჯები

ხარჯის აღიარება ხდება მისი გაწევისთანავე.

2.11 აქტივების გაუფასურება

ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის კომპანია განსაზღვრავს, არსებობს თუ არა რაიმე მინიშნება აქტივის გაუფასურების შესახებ. თუ არსებობს ასეთი ნიშანი, კომპანია აფასებს აქტივის ანაზღაურებად ღირებულებას და ადარებს მის საბალანსო ღირებულებას. თუ აქტივის ანაზღაურებადი ღირებულება ნაკლებია მის საბალანსო ღირებულებაზე, კომპანია ამცირებს საბალანსო ღირებულებას ანაზღაურებად ღირებულებამდე. ასეთ შემთხვევაში, ღირებულების შემცირების ოდენობა წარმოადგენს გაუფასურების ზარალს, რაც დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

კომპანია ყოველი მომდევნო საანგარიშგებო თარიღისთვის ხელახლა აფასებს მარაგის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ გასაყიდ ფასს. როდესაც აღარ არსებობს მარაგის გაუფასურების გამომწვევი გარემოებები, ან, შეცვლილი ეკონომიკური ვითარების გამო, არსებობს მტკიცებულება, რომ მარაგის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებული გასაყიდი ფასი გაიზრდება, კომპანია აღადგენს გაუფასურების თანხას (უკუგატარებით) (ე.ი. კორექტირების თანხა შეზღუდულია თავდაპირველი გაუფასურების ზარალის ოდენობამდე) იმგვარად, რომ ახალი საბალანსო ღირებულება იყოს უმცირესი, თვითღირებულებასა და მისი დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ, შესწორებულ გასაყიდ ფასს შორის.

2.12 საწესდებო კაპიტალი

კომპანიის მიერ გამოშვებული კაპიტალის ინსტრუმენტებია აღირიცხება მიღებული შემოსავლით. აკუმულირებული მოგება/ზარალი შეიცავს წინა პერიოდების აკუმულირებულ მოგება/ზარალს. დივიდენდები აღირიცხება, როგორც ვალდებულება იმ პერიოდისთვის, რომელშიც გამოცხადდა.

2.13 დივიდენდები

დივიდენდები აღირიცხება, როგორც ვალდებულება და აკლდება კაპიტალს იმ პერიოდში, როდესაც მოხდა მათი გამოცხადება და დამტკიცება. ნებისმიერი დივიდენდი, გამოცხადებული საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ და ფინანსური ანგარიშების დამტკიცებამდე, გამჟღავნდება შემდგომი პერიოდის მოვლენების შენიშვნაში.

2.14 პერსონალის ხარჯი და მასთან დაკავშირებული შენატანები

ხელფასები, საპენსიო შენატანები, სადაზღვეო სისტემაში შენატანები, წლიური შვებულების და ავადმყოფობის ანაზღაურებები, ბონუსები და არა-ფულადი სარგებლები აღირიცხება იმ წელს, როდესაც მოხდება შესაბამისი სერვისის მიღება თანამშრომლების მიერ.

3. ძირითადი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები

კომპანია ახდენს გარკვეული სააღრიცხვო შეფასებებისა და გადაწყვეტილებების შემუშავებას მომავალი პერიოდებისათვის. შეფასებებისა და გადაწყვეტილებების გადახედვა ხდება მუდმივად, გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებზე დაყრდნობით, რომელიც ითვალისწინებს მომავალ პერიოდში მოსალოდნელ მოვლენებსაც. მომავალ პერიოდებში მიღებული გამოცდილება შესაძლოა განსხვავებული იყოს ამ შეფასებებისა და დაშვებებისაგან. ქვემოთ მოყვანილია ის შეფასებები და დაშვებები, რომლებიც მომდევნო ფინანსურ წელში აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებში არსებითი ცვლილებების რისკის მატარებელია.

კომპანიის ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში არსებობს ისეთი ოპერაციები, რომელთათვისაც ნათლად არ არის განსაზღვრული ამა თუ იმ გადასახადთან დაკავშირებული საკითხები. შედეგად, კომპანია აფასებს, ეკისრება თუ არა მას დამატებითი გადასახადის გადახდის ვალდებულება, და მათზე დაყრდნობით აღიარებს საგადასახადო ვალდებულებებს. ეს საგადასახადო ვალდებულებები აღიარდება მაშინ, როდესაც კომპანიას მიაჩნია თავისი საგადასახადო დეკლარაციები საიმედოდ, მაგრამ იგი თვლის, რომ შესაძლოა საგადასახადო ორგანოების მხრიდან გარკვეული პოზიცია იყოს განსხვავებული. შედეგად კომპანიას მინიმუმამდე დაყავს აღნიშნული რისკი. კომპანიას სჯერა, რომ ყველა აუდირებული პერიოდისთვის მის მიერ დარიცხული საგადასახადო ვალდებულებები ეფუძნება მრავალ ფაქტორს, მათ შორის წარსულ გამოცდილებას და საგადასახადო კანონმდებლობას. ეს განსაზღვრება ეფუძნება შეფასებებსა და დაშვებებს, და შეიძლება მოიცავდეს კომპლექსურ მსჯელობებს მომავალი მოვლენების შესახებ. იმ შემთხვევაში, თუ საბოლოო საგადასახადო შედეგი განსხვავებული იქნება დარიცხული თანხებისგან, სხვაობები გავლენას მოახდენს იმ პერიოდის ანგარიშგებაზე, რა პერიოდშიც ეს გახდება ცნობილი.

როგორც ზემოთ აღინიშნა, კომპანია გადახედავს ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადებს ანგარიშგების ყოველი წლიური პერიოდის ბოლოს. აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრისას, მენეჯმენტი განიხილავს მოსალოდნელ გამოყენებას, სავარაუდო ტექნიკურ მოძველებას, ფიზიკურ ცვეთას და გარემოს, რომელშიც ხდება აქტივის გამოყენება. ჩამოთვლილი პირობებისა თუ შეფასებების სისტემის ნებისმიერმა ცვლილებამ შეიძლება გამოიწვიოს მომავალი ცვეთის განაკვეთის კორექტირება.

კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მომზადება მოითხოვს მენეჯმენტისგან გადაწყვეტილებების მიღებას, შეფასებების და ვარაუდების შემუშავებას, რასაც გავლენა აქვს ანგარიშში მოყვანილი შემოსავლის, ხარჯების, აქტივების და ვალდებულებების ოდენობაზე და თანმხლებ გამოვლინებებზე და სადავო ვალდებულებების გამოვლინებაზე.

გაურკვევლობამ ამ ვარაუდებსა და შეფასებებთან დაკავშირებით შესაძლოა მიგვიყვანოს შედეგებამდე, რაც საჭიროებს აქტივების და პასივების საბალანსო მაჩვენებლების არსებით რეგულირებას, რომლებიც შეიცვლება სამომავლო პერიოდში.

4. ძირითადი საშუალებები
ძირითადი საშუალებები წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	მიწის ნაკვეთები	შენობები	მანქანა- დანადგარები	ოფისის აღჭურვილობა	ავეჯი და სხვა ინვენტარი	სატრანსპორტო საშუალებები	არამატერიალური აქტივი	სულ
31 დეკემბერი 2023	0	0	295 233	349 759	67 424	202 655	108 388	1 023 459
შემოსვლა	0	0	65 294	13 794	6 578	0	42 437	128 102
გადაფასება			-	-	-	-	-	0
გასვლა	0	0	7973.44	0	0	0	0	7 973
31 დეკემბერი 2024	0	0	352 554	363 553	74 002	202 655	150 825	1 143 588
ცვლითა და გაუფასურება								0
31 დეკემბერი 2023	0	0	-130 631	-212 676	-40 198	-116 569	-62 781	-562 855
პერიოდის ცვლითა	0	0	-40 074	-28 707	-6 557	-17 217	-33 885	-126 441
გასვლა	0	0	0	0	0	0	0	0
31 დეკემბერი 2024	0	0	-170 705	-241 383	-46 755	-133 786	-96 666	-689 296
წმინდა საბალანსო ღირებულება								0
31 დეკემბერი 2023	0	0	164 602	137 083	27 226	86 085	45 607	460 604
31 დეკემბერი 2024	0	0	181 849	122 169	27 246	68 868	54 159	454 292

5. მარაგები

	2024 წელი	2023 წელი
საწვავი, ბენზინი/დიზელი	22	22
სარეკლამო საქონელი	-	-
პლასტიკური ბარათები	21 725	18 951
სხვა მატერიალური მარაგები	-	-
სულ	21 747	18 973

გამომდინარე იქიდან, რომ კომპანიის საქმიანობას არ წარმოადგენს ვაჭრობა, ანგარიშგებაში მოცემული მარაგები სამომავლოდ განკუთვნილი არ არის სარეალიზაციოდ.

6. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

	2024 წელი	2023 წელი
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები		
მოკლევადიანი მოთხოვნები	396 009	679 074
სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	235 353	150 698
სულ	631 362	829 772

შპს მანი მუვერსის მოთხოვნების ვადა ყოველთვის ნაკლებია 1 წელზე. ჩვენი საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე საოპერაციო საქმიანობასთან დაკავშირებული დებიტორული და კრედიტორული დავალიანებების დაფარვა ხდება ყოველდღიურად.

7. ფული და ფულის ექვივალენტები

	2024 წელი	2023 წელი
ფულადი სახსრები ეროვნულ ვალუტაში	922 873	2 480 424
ფულადი სახსრები უცხოურ ვალუტაში (ექვივალენტით ლარში)	787 639	1 002
სულ	1 710 512	2 481 426

8. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

	2024 წელი	2023 წელი
მოკლევადიანი ვალდებულებები	59 085	62 699
სხვა საერთო ვალდებულებები	2 232 710	2 682 977
მიღებული ავანსები	0	
სულ	2 291 795	2 745 676

შპს მანი მუვერსის ვალდებულებების ვადა ყოველთვის ნაკლებია 1 წელზე. ჩვენი საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე საოპერაციო საქმიანობასთან დაკავშირებული დებიტორული და კრედიტორული დავალიანებების დაფარვა ხდება ყოველდღიურად.

9. საგადასახადო აქტივი/საგადასახადო ვალდებულება

	2024 წელი	2023 წელი
გადასახდელი მოგების გადასახადი - ესტონური მოდელით	(12 613)	26 062
გადასახდელი დღგ გადასახადი -საბაჟოზე	0	3 879
საშემოსავლო გადასახადები	38 486	9 635
დღგ	1 419	(252)
ქონების გადასახადი	4 574	388
გადასახადების ერთიანი კოდი	(53 405)	(21 530)
საპენსიო პროგრამის ერთიანი ანგარიში	5 306	6 580
სულ	16 234	(24 762)

საქართველოს საგადასახადო კოდექსში დაბეგვრის ესტონურ მოდელზე გადასვლის გამო წარმოშობილი საგადასახადო ვალდებულების დასაბეგრ ბაზას წარმოადგენს, როგორც გაცემული დივიდენდები ასევე ოფშორულ ქვეყნებში რეგისტრირებული კომპანიებისთვის გადარიცხული ავანსები;

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის მიხედვით, კომპანიამ გადასახადები უნდა გადაიხადოს საგადასახადო პორტალის გაერთიანებულ ანგარიშზე. შედეგად 2024 და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანია წარადგენს საგადასახადო აქტივსა და ვალდებულებას ნეტო ღირებულებით, თანხით 16 234 ათასი ლარი (აქტივი) და 24762 ათასი ლარი(ვალდებულება), შესაბამისად.

საშემოსავლო გადასახადის დასაბეგრი ბაზა მოიცავს: ხელფასებს, დივიდენდს, მომსახურების ანაზღაურებას ფიზიკური პირებზე, სსკ-ის 134-ე მუხლის მიხედვით განსაზღვრული თანხები;

10. ამონაგები

	2024 წელი	2023 წელი
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული შემოსავლები	3 596 591	4 899 165
გამოქვითვები საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული შემოსავლებიდან	(953 713)	(1 483 325)
ნეტო შემოსავალი საოპერაციო საქმიანობიდან	2 642 878	3 415 840

კომპანია იღებს შემოსავალს მომხმარებლებისა და პარტნიორი ორგანიზაციებისთვის გაწეული ფინანსური მომსახურების სანაცვლოდ. აღნიშნული შემოსავალი განისაზღვრება როგორც ფიქსირებული, ასევე პროცენტული კომისიის სახით, კონკრეტული ტრანზაქციის ან მომსახურების საფუძველზე.

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ ისევე როგორც კომპანია იღებს საკომისიო შემოსავლებს, მას ასევე გააჩნია შესაბამისი ტიპის საკომისიო ხარჯები, რომლებიც წარმოქმნება იმავე ტრანზაქციური ან პარტნიორული მოდელებიდან და დაკავშირებულია იმავე ფინანსური სერვისების მიწოდებასთან.

ეს სტრუქტურა ნათლად აჩვენებს, რომ კომპანიის ფინანსური მოდელი დაფუძნებულია წმინდა საკომისიო ზღვარზე, სადაც შემოსავლები და ხარჯები ერთმანეთთან მჭიდროდ არის დაკავშირებული და წარმოადგენს ერთიან, თანმიმდევრულ ოპერაციულ პროცესს.

11. ზოგადი & ადმინისტრაციული ხარჯი და მიწოდების დანახარჯები

	2024 წელი	2023 წელი
შრომის ანაზღაურება	1 940 254	2 745 986
პერსონალის დაზღვევის დანახარი	37 579	54 036
საიჯარო ქირა	118 747	102 801
კომუნიკაციის ხარჯი	46 324	53 622
კომპიუტერული ხარჯი	8 400	3 797
კომუნალური ხარჯი/გაზი,ელ.ენერგია,წყალი,დასუფთავება/	11 871	8 909
მივლინების ხარჯი	0	1 928
საფოსტო ხარჯი	3 276	5 155
ავტომობილის დაზღვევა საწვავის და სარემონტო ხარჯი	17 133	13 403
საოფისე ხარჯი	20 469	5 344
საკანცელარიო დანახარჯი	3 529	2 016
საკონსულტაციო დანახარჯი	71 359	33 060
დაცვის მომსახურების ხარჯი	2 556	2 556
წარმომადგენლობითი ხარჯი	10 839	5 558
ბანკის საკომისიო	32 694	39 141
დომენი	2 764	3 328
ცვეთა/ამორტიზაცია -გაყიდული/ჩამოწერილი ძირითადი საშუალებების თვითღირებულება	126 441	109 832
ძირითადი საშუალების ჩამოწერა	0	24 805
სხვა საერთო ხარჯი	123 837	301 696
ოფისის სარემონტო ხარჯი	-	-
სისტემის ადმინისტრირების ხარჯი	78 286	58 055
სულ	2 656 358	3 575 028

მიწოდების დანახარჯები	2024 წელი	2023 წელი
სარეკლამო ხარჯი	141 108	81 880

12. სხვა შემოსავალი

სხვა შემოსავალი	2024	2023
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი	29	10 837
საპროცენტო შემოსავალი	35 943	60 196
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი (ძირითადი საშუალების რეალიზაცია)	-	10 722
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი (დღგ-ით დასაბეგრი)	56 306	61 662
სულ	92 278	143 417

13. სხვა ხარჯი

სხვა ხარჯი	2024	2023
არასაოპერაციო ხარჯი	2595	4 009
საქველმოქმედო ხარჯი	1485	1 485
სულ	4080	5 494

14. მოგება/ (ზარალი) საკურსო სხვაობიდან, წმინდა

ზარალი კურსთაშორის სხვაობიდან 2024, 2023 წლებში წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2024 წელი	2023 წელი
საკურსო სხვაობით მიღებული მოგება	24 810 735	9 003 374
საკურსო სხვაობით მიღებული (ზარალი)	(24 849 330)	(8 954 441)
სულ	(38 595)	48 933

15. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

დაკავშირებულ მხარეებთან განხორციელებული ოპერაციებში იგულისხმება პირი ან საწარმო, რომელიც დაკავშირებულია იმ საწარმოსთან, რომელიც ამზადებს ფინანსურ ანგარიშგებას (ანგარიშვალდებული საწარმო)

კომპანიის ბიზნესის ჩვეულებრივი მიმდინარეობისას კომპანია დებს გარიგებებს დაკავშირებულ საწარმოებთან. გადაწყვეტილება გამოიყენება იმის დასადგენად, გარიგება შეფასებულია საბაზრო თუ არასაბაზრო ფასებით, როდესაც არ არის აქტიური ბაზარი ამგვარი გარიგებისათვის, გადაწყვეტილების საფუძველი არის მსგავსი ტიპის გარიგებების ფასდადგენა არადაკავშირებულ მხარეებთან.

შპს მანი მუვერსის დამფუძნებელი შპს მმ ინვესტი ასევე წარმოადგენს სხვა კომპანიების მეწილეს, რომლებსაც საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ქონდათ ოპერაციები შპს მანი მუვერსთან, ესენია: შპს მეიქედი, შპს აერო სერვისი, შპს რეკაბ სფეისი შპს, მმ კაპიტალი და შპს ექსჩენჯერი.

მსს ფასს-ის 33-ე განყოფილების მიხედვით განსაზღვრულ დაკავშირებულ მხარეებთან ნაშთები 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და 2024 წელს განხორციელებული ტრანზაქციები მოცემულია ქვევით:

საქონლის/მომსახურების მიწოდება:

საქონლის/მომსახურების მიწოდება განხორციელდა - 23248 ლარის ოდენობით

საქონლის/მომსახურების შეძენა:

საქონლის/მომსახურების შეძენა განხორციელდა 118677.53 ლარის ოდენობით, საიდანაც, საიჯარო ხარჯი შეადგენს - 108422.74 ლარს, ძირითადი საშუალებების შეძენასთან დაკავშირებული ხარჯები - 3667.9 ლარს, კომპიუტერული ხარჯი 2240.85 ლარს, ხოლო სხვა საერთო ხარჯები - 4346.04 ლარს

დაუფარავი ნაშთები:

მოთხოვნები - 84649 ლარი;
ვალდებულებები - 180 ლარი.

15. ანარიცხები და პირობითი ვალდებულებები




2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიას არ გააჩნია სასამართლო დავები. მენეჯმენტს მიაჩნია, რომ არ მოხდება არანაირი მატერიალური დანაკარგის წარმოქმნა, შესაბამისად არანაირი ანარიცხი არ არის შექმნილი სასამართლო დავებთან დაკავშირებით და არც პირობითი ვალდებულება არსებობს.

16. ბალანსის შემდგომი მოვლენები

ანგარიშების დამტკიცების შემდეგ, ბალანსის შემდგომი მოვლენები გავლენას არ ახდენს კომპანიის 2024 წლის ფინანსურ ანგარიშგებაზე

17. დამტკიცების თარიღი

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების დამტკიცების თარიღია 2025 წლის 10 მარტი.

დირექტორი   
ფინანსური დეპარტამენტის
ხელმძღვანელი